საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №01-08/976

ქ. ბათუმი 01 ---- ნოემბერი, 2022 წ.

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ზოგიერთი სტუდენტისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2022 წლის 19 ოქტომბრის N1323207 სამსახურებრივი ბარათით წარმოდგენილი იქნა ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების იმ სტუდენტთა სია, რომელთაც ვერ შეასრულეს პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის და 66[1]–ე მუხლის მე–6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის №01-02/11 ბრძანებისა და ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2022 წლის 19 ოქტომბრის N1323207 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების იმ პროფესიულ სტუდენტთა ***(დანართი №1)*** მიმართ, რომელთაც ვერ შეასრულეს შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები.

2. დაინტერესებულ პირებს ***(დანართი №1)*** ადმინისტრაციულ წარმოებაში მათი მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით, განემარტოთ, რომ შეუძლიათ 3 დღის ვადაში წარმოადგინონ ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურში (კანცელარია) წერილობითი მოსაზრებები გამოსაცემ სამართლებრივ აქტთან დაკავშირებით.

3. ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანება გამოიცეს 2022 წლის 3 ნოემბრის შემდეგ, ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად, საქმის გარემოებების დეტალურად გამოკვლევისა და შესწავლის საფუძველზე.

4. ბრძანება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით, ოფიციალური გაცნობის მიზნით, ინდივიდუალურად ეცნობოს შესაბამის პროფესიულ სტუდენტს (ბრძანებაში აღნიშნულ სხვა პროფესიულ სტუდენტთა იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით), რომლის უზრუნველყოფა დაევალოს ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), ასევე განთავსდეს პროფესიული სდუდენტების პირად საქმეში.

5. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით.

6. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს.

7. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

„ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ზოგიერთი სტუდენტისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ"

ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 01 ნოემბერი, № 01-08/976 ბრძანების

დანართი №1

ბსუ-ს პროფესიული სტუდენტები, რომლებმაც ვერ შეასრულეს შესაბამისი პროფესიული პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები

N	სახელი და გვარი	პირადი N	ჩარიცხვის ბრძანება N და თარიღი, ხელშეკრულების N, თარიღი	მისამართი
1	ნინო მიქელაძე		N01-08/573, 08.10.2021, ხელშ. N 20-04/48, 06.10.2021	ქ. ბათუმი, დემეტრე თავდადებულის ქუჩა,№67
2	მინდია დიდმანიძე		N01-08/573, 08.10.2021, ხელშ. N 20-04/53, 07.10. 2021	ქ. ბათუმი, ქეთევან წამებულის II ჩიხი, №47